უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 4

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 02/ 03 /2020 წ
სხდომის დაწყების დრო 15:10 სთ
სხდომის დამთავრების დრო 20:49 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი - ნიკოლოზ კიკნაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი; **(საბჭოს თავმჯდომარე)**;
2. ნიკოლოზ კიკნაძე - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი; **(საბჭოს მდივანი)**;
3. თამარ ტუფინაშვილი - შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. გურანდა ჭელიძე - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
5. დიმიტრი გეგენავა - შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
6. გიორგი თურქია - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
7. ირმა წერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
8. ნიკა თიკანაშვილი - შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.
9. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელწმიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	დალი გურასპაშვილი	იურიდიული სამსახურის სამართალშემოქმედებითი სამმართველოს სპეციალისტი

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დავით გელოვანი	სსიპ - თბილისის საცხელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	ქეთევან ქოჩიაშვილი	სსიპ - თბილისის საცხელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ქართული ენის ცენტრის პედაგოგი	I
3	თამარ კანთელაძე	სსიპ - თბილისის საცხელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ქართული ენის ცენტრის წარმომადგენელი	I
4	სალომე ძიძიგური	სსიპ - თბილისის საცხელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ქართული ენის ცენტრის წარმომადგენელი	I
5	ნუგზარ სხირტლაძე	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	II
6	დიანა მჭედლიშვილი	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი	II
7	ლაშა ქავთარაძე	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	ირმა ინაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III, IV, V, VI
9	ნუგზარ წერეთელი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	III, IV, V, VI
10	მამუკა მაისურაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III, IV, V, VI
11	მაია ცინცაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქიმიის დეპარტამენტის უფროსი	III, IV, V, VI III, IV, V, VI
12	როზა ხუციშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის „სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟენერიის“ ხელმძღვანელი	III, IV, V, VI
13	დენიტა ბიბილეიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის „ქიმია“ ხელმძღანელი	III, IV, V, VI
14	ინგა ლომაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სწავლებისა და	III, IV, V, VI

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

			მეცნიერების ხარისხის კონტროლის განყოფილების უფროსი	
15	ელიზბარ ელიზბარაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	III, IV, V, VI
16	თამარ ხოხობაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	III, IV, V, VI
17	ეკატერინე შაკიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV, V, VI
18	მერაბ ძნელაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის „არქეოლოგია" ხელმძღვანელი	III, IV, V, VI
19	თემურ ჯაგოდნიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV, V, VI
20	მანანა აბუთიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	III, IV, V, VI

აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გოჩა თუთბერიძე		II
2	მანანა ლობჟანიძე		II
3	ლაშა გიოგრაძე		II
4	ნინო პოპიაშვილი		III
5	ხვთისო მამისმედიშვილი		III
6	რევაზ კორაშვილი		IV
7	ინგა ბოჭოიძე		IV
8	თამარ ხატისაშვილი		IV, V
9	ლევან გულუა		V
10	თამარ სანიკიძე		V
11	ბონდო კუპატაძე		VI
12	დავით ბრაგვაძე		VI
13	ჯიმშერ ჩხვიმიანი		VI

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციის საკითხის განხილვა.

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამა.

6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

7. შპს ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის, შპს კავკასიის უნივერსიტეტის და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

☐ არა

➢ კი

შუამდგომლობის ინიციატორის სახელი, გვარი, სტატუსი ირაკლი ბურდული, საბჭოს თავმჯდომარე

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადება-ქართული, როგორც მეორე ენის" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 04 დეკემბერი, №236
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	0701
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0102, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქუჩა №1
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	-
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

საბჭოს წევრის სახელი, გვარი გურანდა ჭელიძე და ნიკოლოზ კიკნაძე

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან

---

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ დაიწყო მოხსენება ვიზიტის შესახებ და ისაუბრა პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. მისი თქმით პირველი სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნობთან, მეორე მეტწილად, მესამე - შესაბამისობაში, მეოთხე ნაწილობრივ, ხოლო მეხუთე კი მეტწილად შესაბამისი. აქვე, მან მცირე განმარტება გააკეთა მეტწილი შესაბამისობის შესახებ და თქვა რომ დაწესებულებას ბათუმში შეძენილი აქვს ჰექტარნახევარი მიწის ნაკვეთი, სადაც აპირებს კამპუსის აშენებს. რაც შეეხება რეკომენდაციებს: პირველი რეკომენდაცია ეხება დაშვების წინაპირობებს და მისი თქმით დაწესებულება არ ზღუდავს სტუდენტებს მხოლოდ ინგლისური ენით და პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია სხვა უცხო ენის მცოდნე სტუდენტთათვის, მაგ: გერმანული, ფრანგული და რუსული ენის მცოდნეთათვის, ცოდნის დონე კი განისაზღვრება B1 დონით.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება სასწავლო კურსების - „ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლები" და „სტატისტიკა ეკონომისტებისათვის" - ნაცვლად სტუდენტებს შესთავაზონ ერთი სასწავლო კურსი, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ალბათობის თეორიის ელემენტები. „საერთაშორისო ეკონომიკა", „შრომის ეკონომიკა" და „ქცევითი ეკონომიკა" არჩევითი მოდულის სასწავლო კურსებიდან გადმოვიდეს სავალდებულო კურსების მოდულში, ხოლო „ქცევით ეკონომიკას" წინაპირობად დაემატოს „შესავალი ფსიქოლოგიაში". დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მეთოდების სათანადო გამოყენება როგორც თბილისის, ასევე ბათუმის მისამართებზე. ბათუმის ფართში კი უნდა შეიქმნას შესაბამისი გარემო და მოეწყოს ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კი, შეიმუშავოს კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც შემდგომში უნდა გადაეცეს პროგრამის ხელმძღვანელებს და ეკონომიკის სკოლის საბჭოს. და ბოლოს, აუცილებელია, პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის, შიდა პროცედურების გარდა, გარე შემფასებლების მოსაზრებების, შენიშვნებისა და წინადადებების მიღება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ასევე, რამდენიმე რჩევა, კონკრეტულად კი, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი გაითვალისწინებს ბიბლიოთეკის მუშაობის გახანგრძლივებას სამუშაო დღეებში 22:00 ხოლო შაბათს 20:00 საათამდე, რაც სტუდენტების სურვილია. ასევე, სასურველია გაძლიერდეს ფსიქოლოგიის სწავლება და სტუდენტებს შესთავაზონ „ეკონომიკური ფსიქოლოგიის" სასწავლო კურსი.

რაც შეეხება უნივერსიტეტის საუკთესო პრაქტიკას, ეს გახლავთ სტუდენტებისთვის მეორე უცხო ენის შეთავაზება, ანუ 20 კრედიტის ფარგლებში მათ შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი უცხო ენა, რომელსაც დაწესებულება სთავაზობს. ასევე, სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ გაცვლითი კურსების შეთავაზებით სხვადასხვა ქვეყნებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი მუშაობისათვის და ასევე საბჭოს წევრებს მიულოცა საბჭოს წევრობა. მან ისაუბრა პირველი რეკომენდაციის შესახებ, რომელიც უნივერსიტეტის მხრიდან არჩევით საგნებში, სხვა უცხო ენით შესული სტუდენტებისთვის ინგლისური ენის დაბალი საფეხურიდან შეთავაზებას გულისხმობს და თქვა, რომ რადგან 2011 წლიდან საშუალო სკოლებში ინგლისური ენა სავალდებულოა, ლოგიკურია, რომ B2 დონის ცოდნა უნდა ჰქონდეს ყველა სტუდენტს, თუმცა, უნივერსიტეტში სწავლება მაინც B1 დონიდან იწყება. გარდა ამისა, ისინი აკვირდებიან სტუდენტთა სწავლის შედეგებს და მათი აზრით,

დონის დაწევის საჭიროება არ არსებობს. ექსპერტთა დასკვნაში წერია, რომ სავალდებულოა C1 დონის ცოდნის მიღება, თუმცა, ინივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, ამ დონის ათვისება სავალდებულო არ არის და ეს სავარაუდოდ, იყო ტექნიკური შეცდომა, რადგან არც თვითშეფასებაში და არც პროგრამაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

საბჭოს თავმჯდომარე, ირაკლი ბურდული დაინტერესდა, სად არის მოცემული ინფორმაცია ამ მოთხოვნის შესახებ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამის შესახებ საუბარია ექსპერტთა დასკვნაში.

საბჭოს წევრი, დიმიტრი გეგენავა დაინტერესდა, თუ რამდენი არაინგლისურენოვანი სტუდენტი აბარებს პროგრამაზე, რაზეც უნივერსიტეტის რექტორმა, კახა შენგელიამ უპასუხა, რომ უმეტესად, პროგრამაზე აბარებენ ინგლისურენოვანი სტუდენტები და იშვიათია სხვა უცხო ენით შემოსული სტუდენტი.

ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ სავალდებულო საგნებში მოცემულია პროფესიული უცხო ენა, რომელიც საჭიროებს მაღალ დონეს, შესაბამისად, თუ სტუდენტი ენის დაბალი კომპეტენციითაა შესული, მას გაუჭირდება მაღალი დონის მიღწევა, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ B2 დონის ცოდნის მქონე სტუდენტისთვის მაღალი დონის პროფესიული უცხო ენის შესწავლა სირთულეს არ წარმოადგენს და ამას დაკვირვებები ადასტურებს.

შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც სასწავლო კურსის „ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლების" თემატიკის ძირითად ლიტერატურაზე დაყრდნობას და ასევე, „ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლების" და „სტატისტიკა ეკონომისტებისათვის" ნაცვლად სტუდენტებისთვის ერთი სასწავლო კურსის შეთავაზებას გულისხმობს, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ალბათობის თეორიის ელემენტები, დაწესებულებისთვის მისაღებია. პროგრამის ხელმძღვანელმა, ლაშა ქავთარაძემ აღნიშნა, რომ ისინი აუცილებლად შეიმუშავებენ ისეთ სასწავლო კურსს, რომელიც რელევანტური იქნება ეკონომეტრიკისათვის და შევა ალბათობის თეორიის ელემენტები, ყველა ის საჭირო ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროა შემდგომი საფეხურისთვის. ასეთი ინსტრუმენტია ნიუ გოლდის „სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომისტებისათვის", რაზეც მიმდინარეობს თარგმანზე მუშაობა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ერთად.

მესამე და მეოთხე რეკომენდაციების შესახებ, რომელიც „საერთაშორისო ეკონომიკის", „შრომის ეკონომიკის" და „ქცევითი ეკონომიკის" არჩევითი მოდულის სასწავლო კურსებიდან სავალდებულო კურსების მოდულში გადმოტანას გულისხმობს, უნივერსიტეტი ითვალისწინებს რეკომენდაციას „შრომის ეკონომიკასთან" დაკავშირებით, ხოლო „საერთაშორისო ეკონომიკის" შემთხვევაში, როდესაც სტუდენტს გავლილი აქვს მიკრო და მაკრო ეკონომიკის სასწავლო კურსები, მას აქვს ისეთი ცოდნა, რომ შეუძლია, აირჩიოს საერთაშორისო ეკონომიკა ან ქცევითი ეკონომიკა. რაც შეეხება ეკონომიკის ფსიქოლოგიის სავალდებულოში გადატანას, უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მოსაზრებით, ამის საჭიროება არ არსებობს, რადგან შესაძლოა, სტუდენტს უფრო ვიწრო მიმართულება აინტერესებდეს და თუ ქცევითი ეკონომიკის მიმართულებით წავა, შეუძლია, არჩევით მოდულში კუსრები დააკომპლექტოს, სადაც ფსიქოლოგია იქნება დაშვების წინაპირობა და ამის შემდეგ ქცევით ეკონომიკას, როგორც სასურველ საგანს, ისე აირჩევს. შესაბამისად, ამ რეკომენდაციას დაწესებულება ნაწილობრივ იზიარებს და „შრომის ეკონომიკას" გადმოიტანს სავალდებულო მოდულში, ხოლო დანარჩენ კურსებს დატოვებენ არჩევით მოდულში, რითაც სტუდენტს საშუალებას მისცემენ, თავად აირჩიონ ვიწრო სპეციალიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

მე-6, მე-7 და მე-8 რეკომენდაციები, რომელიც ბათუმის ფილიალს ეხება, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ბათუმის ფილიალში მატერიალური რესურსი იმ დონეზეა უზრუნველყოფილი, რომ სასწავლო პროცესი გამართულად მიმდინარეობდეს, ადამიანური რესურსი კი მიდის თბილისის ფილიალიდან და ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს. რაც შეეხება ბიბლიოთეკასა და კომპიუტერული ტექნიკის განახლებას, დაწესებულების წარმომადგენლებიც მიიჩნევენ, რომ ეს საკითხი მოსაგვარებელია, თუმცა, ბათუმის ფილიალთან დაკავშირებით დაწესებულებას უფრო ფართომასშტაბიანი გეგმები აქვს, რომლის შესახებაც, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით უნივერსიტეტის რექტორი ისაუბრებს.

კახა შენგელიას განმარტებით, 2022 წელს, ქ. ბათუმში იქნება ერთ-ერთი საუკეთესო კამპუსი, რომელიც იქნება ულტრათანამედროვე შენობა, სადაც განთავსდება საერთო საცხოვრებელი, აუზები, კორტები და მოეწყობა სრული ინფრასტრუქტურა. მისი თქმით, ეს გახლდათ საქართველოს მთავრობის თხოვნა, რომ ასეთი კამპუსი აშენებულიყო და შესაბამისად, ბათუმის მთავრობამ ბაგრატიონის ქუჩაზე გადასცა უნივერსიტეტს მიწა, რომლის ფართობიც გახლავთ 2 ჰექტარი, სადაც განთავსდება სწორედ ეს კამპუსი და რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მიღებას არამხოლოდ აჭარიდან, არამედ გურიიდან და სამეგრელოდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე, ისაუბრა მე-9 და მე-10 რეკომენდაციების შესახებ, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფას შეეხებოდა, რომელიც ამბობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შეიმუშავოს კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც შემდგომში უნდა გადაეცეს პროგრამის ხელმძღვანელებს და ეკონომიკის სკოლის საბჭოს. მისი თქმით, უნივერსიტეტს ჰქონდა კონკრეტული რეკომენდაციები პრაქტიკასთან, ხელშეკრულებებთან, ადამიანურ რესურსთან და სტრუქტურასთან დაკავშირებით, ასევე სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის შესახებ, რამაც გამოიწვია ამ რეკომენდაციის გაცემა, რომლის გამოც, უნივერსიტეტმა ჩაატარა კვლევა, რომლითაც დადგინდა, რომ სტუდენტების გადინება უნივერსიტეტიდან განპირობებული იყო მათემატიკის სირთულით, რის გამოც ხარისხის სამსახურს არაერთი შეხვედრა ჰქონდა თვითშეფასების ჯგუფთან და მიეცათ მათ რჩევა, რომ დამატებულიყო პრეკალკულუსი.

რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, რომელიც ამბობს, რომ შიდა პროცედურების გარდა, აუცილებელია გარე შემფასებლის, პარტნიორი უნივერსიტეტების შეფასება. ამასთან დაკავშირებით, მან ისაუბრა, თუ რა გაკეთდა ამ მიმართულებით და რომელი უნივერსიტეტების რა პრაქტიკებია დანერგილი, რომლის დასტურად მან საბჭოსა და ექსპერტებს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. მან თქვა, რომ მათ განიხილეს ქვეყანაში არსებული თითქმის ყველა პროგრამა და შეისწავლეს მათი სტრუქტურები, ასევე გაითვალისწინეს უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება.

დიმიტრი გეგენავა დაინტერესდა, ეწერა თუ არა ეს მონაცემები თვითშეფასებაში, რაზეც მან უპასუხა, რომ ეს ინფორმაცია თვითშეფასებაში დეტალურად აღწერილი არ ყოფილა და შესაძლოა, ამან გამოიწვია ამ რეკომენდაციის არსებობა.

უნივერსიტეტის დეკანმა, სოსო ბერიკაშვილმა აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ქართულენოვანია, უცხოელი პატრნიორები დეტალებში ვერ შემოდიან, მაგრამ უნივერსიტეტი გადის საერთაშორისო აკრედიტაციას, შესაბამისად, მათ მუდმივი კომუნიკაცია აქვთ უცხოელ პარტნიორებთან და უნივერსიტეტის წარმომადგენლები სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. რაც შეეხება საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას, ისეთი ტრენდი,

როგორიცაა მონაცემთა ანალიტიკა, ჩართულია პროგრამაში და მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება ეს კომპონენტი.

კახა შენგელიას თქმით, უცხოური აკრედიტაციის პროცესი უკვე ბოლო ეტაპზეა და ყველა კომპონენტი გადის ძალიან მაღალი დონის შემოწმებას.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა, სად შეიძლება იმუშაოს ეკონომიკის ბაკალავრმა? რაზეც კახა შენგელიამ უპასუხა, რომ მათი კურსდამთავრებულები უმეტესად მუშაობენ საქართველოს ეროვნულ ბანკში, საქართველოს ბანკში, თიბისი ბანკში, ვითიბი ბანკში, ლიბერთი ბანკსა და ფინკა ბანკში. ანუ, მთელი ამ საბანკო სისტემის ქვედა და ზედა დონის მენეჯმენტი დაკომპლექტებულია კავკასიის ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლის კურსდამთავრებულებით, შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკა ამ ბავშვებზე დგას. გამომდინარე იქიდან, რომ ამ სკოლაში სწავლა ძალიან რთულია, თუ სტუდენტი სრულად დაძლევს პროგრამას, მას დასაქმება გარანტირებული აქვს. რეალურად, დაუსაქმებელი არავინ რჩება, ძირითადი დასაქმების სფერო კი არის საბანკო სისტემა და არასამთავროვო ორგანიზაციები.

გიორგი თურქიამ დასძინა, რომ ეკონომისტმა უნდა იმუშაოს ან ფინანსურ სექტორში, ან პოლიტიკის შემქმნელ სფეროში, შესაბამისად, მისი აზრით, თუ ადამიანებმა ასეთი მიმართულებით უნდა იმუშაონ, მაშინ პროგრამის თემატიკაც უფრო მრავალფეროვანი უნდა იყოს. პოლიტიკის თვალსაზრისითაც, უმჯობესი იქნება დაემატოს სასწავლო კურსები, თუ როგორ უნდა წარიმართოს ეკონომიკის პოლიტიკა. ხოლო თუ კურსდამთავრებულმა უნდა იმუშაოს საპენსიო ფონდებში ან ეროვნულ ბანკში, მაშინ ფინანსური მიმართულებით სწავლება უნდა გაძლიერდეს. მისი თქმით, სილაბუსებში ისეთი საკითხები, როგორიცაა ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები და ა.შ. მცირე რაოდენობითაა მოცემული, არადა ადამიანმა, რომელმაც ამ კუთხით უნდა იმუშაოს, უნდა გააკეთოს შესაბამისი ანალიზი და მას სჭირდება სხვა ბეგრაუნდი. ანუ, ორივე მიმართულებითაც რომ მუშაობდეს, პროგრამას აკლია ისეთი საკითხები როგორიცაა ინვესტიციები, რაშიც კახა შენგელიაც დაეთანხმა. გიორგი თურქიამ ასევე აღნიშნა, რომ საერთოდ არ არის სილაბუსში ნახსენები ეკონომიკური გაერთიანებები და ტენდენციები რეგიონალური ეკონომიკის განვითარებისა და საფრთხეების შესახებ. ანუ, რეალურად, პროგრამაში ბევრი საგანია მოცემული, მაგრამ მისი აზრით, კონცენტრირება უნდა იყოს ორივე კუთხეზე და არჩევით მოდულში უნდა იყოს გაძლიერებული როგორც ფინანსური ინსტიტუტების, ისე პოლიტიკის შემქმნელების მიმართულებით.

პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, ეს პროგრამა სტუდენტებს ამზადებს ფინანსური მიმართულებით, ხოლო ეკონომიკის მიმართულებით არის მაკრო და მიკრო ეკონომიკა და მათემატიკური აპარატი იმ დოზით, რომ კურსდამთავრებულს თავისუფლად შეუძლია დასაქმდეს ეკონომიკის სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროში, ეროვნულ ბანკში, პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტში, კვლევით ორგანიზაციებში როგორიცაა თიბისი კაპიტალი.

გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ის იზიარებს დაწესებულების პოზიციას მისი აზრით სასწავლო კურსები ოპტიმალურადაა შერჩეული და მათი გავლის შემდეგ პროგრამის შედეგზე გასვლა სრულად გარანტირებულია. რეკომენდაციებს კი დაწესებულებაც ეთანხმება და მისი აზრით, პრობლემები აუცილებლად აღმოიფხვრება.

გიორგი თურქიას თქმით, მას ეჭვქვეშ არ დაუყენებია პროგრამის შედეგზე გასვლის საკითხი, არამედ მან ისაუბრა რეგიონალურ ეკონომიკაზე, ანუ სხვადასხვა რეგიონებში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები რამდენად შეიძლება იყოს წარმოდგენილი თავისუფალ კრედიტებში, რაზეც კახა შენგელიაც

დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ისინი აპირებენ, პროგრამა მოარგონს საქართველოში არსებულ მდგომარეობას, რადგან მათი აზრით, საჭიროა საქართველოს ეკონომიკის გარედან დანახვა და ანალიზი, რომელიც, სამწუხაროდ, არ კეთდება. სოსო ბერიკაშვილმა კი აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩამატებულია სასწავლო კურსი „საქართველოს ეკონომიკა". ხოლო კახა შენგელიას თქმით, თუ სტუდენტებს ფინანსების სწავლის სურვილი აქვთ, შეუძლიათ თავისუფალი კრედიტების სახით აიღონ ბიზნეს-სკოლაში.

საბჭოს წევრი ირმა წერეთელი დაინტერესდა ფილოსოფიის სილაბუსით და აღნიშნა, რომ მართალია, ეს არჩევითი საგანია, მაგრამ მისი აზრით სათაური „ფილოსოფია - კრიტიკული აზროვნება" არარელევანტურია, რადგან კრიტიკული აზროვნება არის უნარი და თუ ასეთი სასწავლო კურსი არსებობს, მაშინ მას უნდა ახლდეს ლოგიკის ელემენტები, რაც სილაბუსებში არ არის და ამიტომ მისთვის შინაარსის პრინციპი გაურკვეველია, რადგან სილაბუსებში მოცემულია ზოგადი საკითხებიც და ფილოსოფიის ისტორიის საკითხებიც, ხოლო ფილოსოფიის ისტორიიდან მარქსიზმს მთელი თემა ეთმობა, მაგრამ მთელი ძველი აღმოსავლეთი და ბერძნულ-რომაული ფილოსოფია ასევე, ერთ თემაშია მოქცეული და რაც მთავარია, ჰეგელი და კანტი საერთოდ არ არის ნახსენები და თუ ისტორიის პრინციპი დაცულია, მაშინ, არასწორია მათი არხსენება. ამიტომ, მისი აზრით, სილაბუსი გადასახალისებელია.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა იკითხა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რატომ 0701, ანუ, პროგრამა რატომ არის შემოსული ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოთი, მაშინ, როდესაც იგივე კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას ახალი ჩარჩოც იძლევა? რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ძველი სტანდარტებით შეიტანეს პროგრამაზე სააკრედიტაციო განაცხადი და მაშინ არ იყო შესაძლებლობა, რომ ახალ ჩარჩოზე მოერგოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში პროგრამა ახლის სტატუსს მიიღებდა, მაშინ, როდესაც პროგრამა ძველია. შესაბამისად, როდესაც მოხდება პროგრამების გადაყვანა, ეს პროგრამაც გადავა ახალ ჩარჩოზე.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა თქვა, რომ დასკვნის მიხედვით იგეგმება ლაბორატორიული ბაზის განახლება-განვითარება და დაინტერესდა, უშუალოდ ამ პროგრამის მიმართულებით რა იგეგმება და რა ლაბორატორიებზე ექნებათ სტუდენტებს წვდომა და ასევე დაინტერესდა ექსპერტების ამის დადააზრით, სტუდენტებთან გასაუბრების დროს დაფიქსირებული სურვილი ბიბლიოთეკის მუშაობის გახანგრძლივების შესახებ, ზეპირსიტყვიერად მოხდა პოზიციის დაფიქსირება თუ კითხვარში იყო ასახული და ასევე, სტუდენტური ღონისძიებების სამსახური როგორ მუშაობს და თუ არის ამ კუთხით თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე?

ექსპერტმა ლაშა გიორგაძემ უპასუხა, რომ ღონისძიებების შესახებ შეხვედრა არ ყოფილა, მაგრამ ხარისხის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელისა და სტუდენტებისგან მიიღეს ინფორმაცია, რომ აქტიურად მიმდინარეობს საერთაშორისო სემინარებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის პროცესი, ინფორმაცია კი ამის შესახებ ზეპირსიტყვიერად მიიღეს.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 15:55

დამთავრების დრო 16:03

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შემდეგი რეკომენდაციები:

ა) „საერთაშორისო ეკონომიკა“, „შრომის ეკონომიკა“ და „ქცევითი ეკონომიკა“ არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან უნდა გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში;

ბ) დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მეთოდების სათანადო გამოყენება, როგორც თბილისის, ასევე ბათუმის მისამართებზე არსებულ ფართებზე;

გ) დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი გარემოს შექმნა ბათუმში არსებულ ფართზე და სრულფასოვანი საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობა და მისი მომარაგება სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურითა თუ პერიოდული გამოცემებით;

დ) დაწესებულებამ უნდა მოაწყოს თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია ბათუმში არსებულ მისამართზე.

საბჭომ გაიზიარა/დაამატა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევა:

ა) მიზანშეწონილია, როგორც ეს პრეკალკულუსის შემთხვევაში, დაწესებულებამ არჩევით საგნებში შესთავაზოს ინგლისური ენა უფრო დაბალი საფეხურიდან ან A1.0 ან A1 იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც პროგრამაზე დაშვებული იქნებიან სხვა (ინგლისურის გარდა) უცხო ენით;

ბ) მიზანშეწონილია სასწავლო კურსის - „ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლები“ თემატიკა დაეყრდნოს მითითებულ ძირითად ლიტერატურას (ანდერსენი, სვინი, უილიამსი) ან ორი სასწავლო კურსის - „ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლების“ და „სტატისტიკა ეკონომისტებისათვის“ ნაცვლად შეთავაზებულ იქნას ერთი სასწავლო კურსი რელევანტური ლიტერატურით, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ალბათობის თეორიის ელემენტები;

გ) არჩევით სასწავლო კურსს - „ქცევით ეკონომიკას“ წინაპირობად უნდა დაემატოს შესავალი ფსიქოლოგიაში;

დ) „ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლები“ არის წინაპირობა „სტატისტიკა ეკონომისტებისათვის“, ამ სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსიდან გამომდინარე, პირიქით უნდა იყოს და შესაბამისად, მათი სწავლების თანმიმდევრობაც უნდა შეიცვალოს ან როგორც უკვე აღინიშნა, უკეთესი იქნება ერთი სასწავლო კურსის შემუშავება, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ალბათობის თეორიის ელემენტები;

ე) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცედურების გარდა, აუცილებელია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე შემფასებლების (პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოძახილები, მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების შეფასებები) მოსაზრებების, შენიშვნებისა და წინადადებების მიღება. ასეთი შეფასებები ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას;

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

3) გამრავალფეროვნდეს პროგრამაში საგნები ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებით. (პროგრამის განხილვისას, როგორც უნივერსიტეტის, ასევე ექსპერტების მხრიდან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურსდამტავრებულები ძირითადათ მუშაობენ სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში ან ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე. შესაბამისად არჩევითი საგნები ისე იყოს შეთავაზებული, რომ სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდეს უფრო ღრმა ცოდნა მიიღოს იმ მიმართულებით რომელშიც აპირებს მუშაობას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

- ➢ აკრედიტაციის შესახებ
- ☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით მიენიჭა აკრედიტაცია.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10]	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[11]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 04 დეკემბერი, №236
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12]	-

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

6	უმაღლესი განათლების საფეხური[13]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[14]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[16]	0701
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[17]	საქართველო 0102, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქუჩა №1; ქ. ბათუმი, თაყაიშვილის ქ. №36-38
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 06 მარტი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვული ვადა-6 თვე (2020 წლის 08 სექტემბრამდე)
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 08 მარტი

[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

2. **მეორე საკითხი:** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადება-ქართული, როგორც მეორე ენის" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19]	ქართულ ენაში მომზადება, ქართული, როგორც მეორე ენა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[20]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 6 სექტემბერი, №349; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 07 სექტემბრის №1881 განკარგულების საფუძველზე - 2018 წლის 31 დეკემბერი; ცენტრის დირექტორის 2017 წლის 10 ოქტომბრის №646 ბრძანებით - 2019 წლის 31 დეკემბერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21]	ქართულ ენაში მომზადება
6	უმაღლესი განათლების საფეხური[22]	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[23]	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[25]	-
13	სწავლების ენა	ქართული

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი[26]	საქართველო 0186, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N33, სასწავლო კორპუსი N1
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27]	
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

საბჭოს წევრის სახელი, გვარი ეკა ეკალაძე

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ ექსპერტები არ ესწრებოდნენ საბჭოს სხდომას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ცენტრსა და ექსპერტებს ვიზიტის სათანადოდ ორგანიზებისთვის.

მისი თქმით, რჩევებს, რომელიც მათ მიიღეს ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან აუცილებლად გაითვალისწინებენ.

---

[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემულია გარკვეული რჩევები და დაინტერესდა, საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულებასთან.

გიორგი თურქიამ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომელი რჩევა იყო მათი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი? რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რჩევა იყო „ა" და „ბ" ჯგუფების თაობაზე, თუმცა დაწესებულების აზრით სტუდენტების ძლიერ და სუსტ ჯგუფებად დაყოფა არასწორია, რადგან დაკვირვებამ აჩვენა, რომ შერეული ჯგუფები გაცილებით უკეთეს შედეგებს იძლევა, რაც 2014-2015 წლების სტატისტიკით დასტურდება. მათ ასევე აქვთ ინდივიდუალური სწავლება, დაამატეს გარკვეული სიახლეები, შექმნეს ინტერნეტ-პორტალი, რაც ექსპერტებს ძალიან მოეწონათ და ამ პორტალს იყენებენ როგორც სწავლისთვის, ისე მიღებისთვის. მათ შეცვალეს შეფასების კრიტერიუმებიც და ამოიღეს დასწრების შეფასება და დაუმატეს ურთიერთშეფასება.

ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტი სტუდენტთა მხარდაჭერის კუთხით ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია.

ნიკა კიკნაძის თქმით, წარმოდგენილი რჩევების უმეტესობა რეკომენდაციების ხასიათს უფრო ატარებს და რატომ გადაწყვიტეს ექსპერტებმა, რომ რჩევების სახით დაეწერათ? რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს ექსპერტებს უნდა ჰკითხონ. მან ასევე აღნიშნა, რომ სამედიცინო სპეციფიკური უნივერსიტეტია და ისინი ასწავლიან მედიცინის ენასაც. მე-2 სემესტრში, როდესაც უკვე სინტაქსის სწავლება იწყება, ისინი იყენებენ სამედიცინო ზმნებს და ტერმინოლოგიას. რაც შეეხება ოთხი მასწავლებლის შესვლას, მათი აზრით ეს არარენტაბელურია, რადგან მასწავლებლები ისედაც უკვე წლებია, მათ ცენტრში მუშაობენ და უკეთ იციან, როგორ უნდა ასწავლონ სამედიცინო ენა. გარდა ამისა, მათ არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ 70 მასწავლებელი ჰყავდეთ, როგორც ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ჰყავს. გარდა ამისა, მათ სტუდენტებს ჰკითხეს, უნდოდათ თუ არა სხვადასხვა პედაგოგების ყოლა, რაზეც მათგან უარი მიიღეს.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 16:32

დამთავრების დრო 16:41

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადება-ქართული, როგორც მეორე ენის" საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 1

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

გადაწყვეტილება

- ➢ აკრედიტაციის შესახებ
- ☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 7 ხმით ერთის წინააღმდეგ, მიიღო გადაწყვეტილება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადება-ქართული, როგორც მეორე ენის" საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის თაობაზე.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28]	ქართულ ენაში მომზადება, ქართული, როგორც მეორე ენა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[29]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 6 სექტემბერი, №349; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 07 სექტემბრის №1881 განკარგულების საფუძველზე - 2018 წლის 31 დეკემბერი; ცენტრის დირექტორის 2017 წლის 10 ოქტომბრის №646 ბრძანებით - 2019 წლის 31 დეკემბერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30]	ქართულ ენაში მომზადება
6	უმაღლესი განათლების საფეხური[31]	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[32]	-

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[34]	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი[35]	საქართველო 0186, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N33, სასწავლო კორპუსი N1
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 09 მარტი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36]	
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 09 მარტი

3. **მესამე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37]	ქართულ ენაში მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[38]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 24 სექტემბერი, №449; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 07 სექტემბრის №1881

[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

		განკარგულების საფუძველზე - 2018 წლის 31 დეკემბერი; ცენტრის დირექტორის 2017 წლის 10 ოქტომბრის №646 ბრძანებით - 2019 წლის 31 დეკემბერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[40]	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[41]	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[43]	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი[44]	საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N77
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45]	
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	

[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

საბჭოს წევრის სახელი, გვარი - დიმიტრი გეგენავა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

მესამე საკითხის ზეპირი განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა დაიწყო მოხსენება და თქვა, რომ პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, მეორე - ნაწილობრივ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები კი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია, პროგრამის მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან, ასევე პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, მათ შორის დარგობრივ კომპეტენციებთან. მიზანშეწონილია, პროგრამისა და სილაბუსების შემუშავება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ქართულ ენაში მომზადების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს სტუდენტის საწყისი ენობრივი კომპეტენციები სემესტრის დასაწყისში პრე-ტესტის საფუძველზე. პროგრამის სტრუქტურაში, პირველ სემესტრში მნიშვნელოვანია აისახოს სტუდენტთა საწყისი კომპეტენციების ენობრივი დონეების მიხედვით საგნების დიფერენცირება. სასწავლო კურსები არ არის დაყოფილი ენობრივი დონეების მიხედვით. მნიშვნელოვანია, სასწავლო კურსებში აისახოს საწყისი და შემდგომი დონის სტუდენტებისათვის შესაფერისი სასწავლო კურსების სწავლება პირველ სემესტრში. პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია, დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობრივი სავალდებულო-არჩევითი კურსები. მიზანშეწონილია, საგანში „ლინგვო - ქვეყანათმცოდნეობა", შეიცვალოს თემატიკა და დაუახლოვდეს ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო მიზნებსა და ამოცანებს, მათ შორის, დარგობრივი მახასიათებლით აღწერილი ინტერკულტურული კომპეტენციების ნაწილში 5.1 და აღნიშნულ ნაწილში შეთავაზებული იყოს პრაქტიკული უნარების გამომიუშავებაზე ორიენტირებული ტექსტები და სავარჯიშოები. ასევე, საგნები „ლინგვო - ქვეყანათმცოდნეობა" და „ტოლერანტობა და მრავალფეროვნების ელემენტები", დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით საერთო შედეგებსა და კომპეტენციებს ავითარებს, შესაბამისად, შესაძლებელია მათი შერწყმა. ასევე, მიზანშეწონილია საგნები „ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი" 1 და 2 გაერთიანდეს და შეიქმნას ერთსემესტრიანი საგანი და შეიცვალოს თემატიკა, კერძოდ, ტექსტებისა და თხზულებების მიმოხილვითი სწავლების, მწერლების ბიოგრაფიების სწავლების ნაცვლად შეთავაზებული იყოს პრაქტიკულ უნარებზე გამომიუშავებაზე ორიენტირებული ტექსტები და სავარჯიშოები, ასევე აღნიშნულ საგანში, სტუდენტის ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შემდეგ, მიზანშეწონილია, შემუშავდეს პირველი და მეორე დონეებისათვის განსხვავებული სილაბუსები. ასევე, საგანში „ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი 1" და 2 შეიცვალოს თემატიკისა და ტექსტური დავალების ნაწილი, კერძოდ, მხატვრული ტექსტის ანალიზის ნაცვლად შეთავაზებული იყოს პრაქტიკული უნარების

გამომუშავებაზე ორიენტირებული ტექსტები და სავარჯიშოები. ასევე, აღნიშნულ საგანში სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შემდეგ მიზანშეწონილია შემუშავდეს პირველი და მეორე დონეებისათვის განსხვავებული სილაბუსები. საგანი „ქართული ენის ფონეტიკა" მოიცავს ქართული ენის დეტალურ განხილვას, რაც აღემატება „ქართულის, როგორც მეორე ენის" საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. მიზანშეწონილია, აღნიშნული სასწავლო კურსი ინტეგრირდეს ქართული ენის გრამატიკის კურსთან, რომელიც ასევე, დეტალურად განიხილავს ქართული ენის მორფოლოგიასა და სინტაქსს. ასევე, მიზანშეწონილია, საგნები „ქართული ენის გრამატიკა - მორფოლოგიის საკითხები", „ქართული ენის გრამატიკა - სინტაქსის საკითხები" და „ქართული ენის ფონეტიკა" გაერთიანდეს ერთ 5 კრედიტიან საგნად. ამასთან, აღნიშნული საგნის სწავლება მიზანშეწონილია სწავლების პირველ სემესტრში, სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შემდეგ. მიზანშეწონილია, პირველი და მეორე დონეებისათვის შემუშავდეს განსხვავებული სილაბუსები. გამოთავისუფლებული 10 კრედიტი კი მოხმარდეს სავალდებულო-არჩევით დარგობრივ კურსებს, რაც ქართულენოვან მიმართულებებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში რელევანტური იქნება არაქართველი სტუდენტებისათვის. ასევე, სილაბუსების ნაწილში შეიმჩნევა ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზები, მიზანშეწონილია, გასწორდეს სილაბუსები. ასევე, მიზანშეწონილია, პროგრამაში დონეების მიხედვით განისაზღვროს განსხვავებული საკონტაქტო საათები, რაც დარგობრივი ჩარჩოს მოთხოვნაშია. პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია, დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობრივი სავალდებულო-არჩევითი კურსები, რომლებიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ქართულენოვან მიმართულებებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში რელევანტური იქნება არაქართველენოვანი სტუდენტებისათვის. მიზანშეწონილია, პროგრამაზე დაინერგოს ინტერაქციული მეთოდებით სწავლება, მათ შორის ჯგუფური მუშაობის თამაშით სწავლის მეთოდები. ასევე, სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია პრაქტიკული მეცადინეობები დაემყაროს მეორე ენის სწავლების მეთოდიკას და პრაქტიკულ აქტივობებს. ბოლოს, მიზანშეწონილია, ხარისხის მართვის სამსახურის გამართული და ეფექტიანი მუშაობა დარგთან დაკავშირებული სიახლეების დანერგვისა და განხორციელების თავლსაზრისით.

ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ იმისთვის რომ დარგობრივი სტანდარტით მოხდეს შეფასება, ამისთვის უნდა არსებობდეს ადმინისტრაციული აქტი, ან მინისტრის ბრძანება, ან ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც ამ სიტუაციას მოაგვარებდა ისე, რომ პროცესის განმავლობაში დროს მისცემდა უნივერსიტეტს. ასეთი ფაქტი დაფიქსირდა 2018 წელს, მედიცინის პროგრამების განხილვისას დაისვა საკითხი, რომ მაშინ, როდესაც დარგობრივი სტანდარტი შეიქმნა, უნივერსიტეტებს პროგრამები წარმოდგენილი ჰქონდათ სველი სტანდარტით, ერთი წლის შემდეგ კი ძალაში შედიოდა ახალი სტანდარტი და მაშინ დაისვა საკითხი, რომ თუ ამ ადმინისტრაციულ აქტში სახელმწიფომ არ განუსაზღვრა უნივერსიტეტებს, მაშინ აუცილებელია მოქმედი სტანდარტის შესაბამისად შემოწმდეს. ანუ, თუ იგივე ხდება ახლა, მაშინ ამას უნდა ჰქონდეს რჩევის და არა რეკომენდაციის სახე. მისი თქმით, ეს შესავალი კი იმისთვის გააკეთა, რომ გაერკვია, გაცემული რეკომენდაციებიდან რომელია მოქმედი სტანდარტისთვის შეუსაბამო და რომელი - შესაბამისი?

რაზეც ნინო პოპიაშვილმა უპასუხა, რომ ჩარჩო მუშავდებოდა 2018 წლიდან და უნივერსიტეტებს ჰქონდათ საკმაო დრო მასზე მოსარგებად.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

ირაკლი ბურდულმა კი აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საინტერესოა, რას აკეთებს სახელმწიფო, ანუ როდესაც ის ამბობს, რომ დარგობრივი სტანდარტი იცვლება და გამოსცემს აქტს, იქვე უნდა დააფიქსიროს, რომ უნივერსიტეტები, რომლებიც წარმოადგენენ პროგრამებს, რომელთაც აკრედიტაციის ვადა გასდით, ვალდებულება ეკისრებათ, რომ აკრედიტაციის პროცესში შესაბამისობაში მოიყვანონ 2020 წლის პირველი ივნისიდან რომ ამოქმედდება, იმ სტანდარტთან. მისი კითხვაც სწორედ ეს იყო, რომ გამოცმეულ აქტში არის თუ არა ასეთი ჩანაწერი? 2018 წელს მედიცინის პროგრამებთან დაკავშირებით ასეთი ჩანაწერი არსებობდა, ხოლო და საინტერესოა, ახლა თუ არსებობს ეს ჩანაწერი? რაზეც ნინო პოპიაშვილმა უპასუხა, რომ ეს იურისტებმა უნდა შეამოწმონ, ხოლო პროგრამა, რომელიც არ მთავრდება ივნისამდე, უნდა გავიდეს იმ შედეგებზე, რაც ჩარჩოშია. ამისთვის უნივერსიტეტებს ჰქონდათ საკმაო დრო მოსამზადებლად, მითუმეტეს რომ ისინი ჩართულნი იყვნენ ჩარჩოს შემუშავების პროცესში და მისი ინსტრუქცია ზედმდგომი ორგანოდან არ მიუღიათ.

ირაკლი ბურდულის თქმით, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე ახლა მიმდინარეობს სამართლის დარგობრივი სტანდარტის შემუშავების პროცესი და როდესაც ეს სტანდარტი დაიდება, ფაკულტეტი პროგრამებს წარმოადგენს იმ სტანდარტის მიხედვით.

ნინო პოპიაშვილის თქმით, უნივერსიტეტების დიდმა ნაწილმა სწორედ ახალი სტანდარტით წარმოადგინა პროგრამები. მისივე თქმით, მათ დეტალურად შეისწვალეს პროგრამა და სილაბუსები და რეკომენდაციების სიმრავლე სწორედ პროგრამის მოდიფიცირების საკითხის არსებობამ განაპირობა.

ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულებას და სთხოვა, ესაუბრათ, იმის შესახებ, თუ რომელ რეკომენდაციას ითვლისწინებდნენ და რომელს - არა და თუ არ იზიარებენ, რატომ არ იზიარებენ.

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა ეკატერინე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ ვადა, რომელიც დარგობრივ მახასიათებელზე მორგებისთვის იყო განსაზღვრული, არ გახლდათ საკმარისი, განსაკუთრებით, დიდი უნივერსიტეტებისთვის, რადგან დარგობრივი მახასითაბლის მიხედვით მათ უნდა ესწავლებინათ იმ ფაკულტეტების შესაბამისი ლექსიკა, რომელზეც შემდგომ გააგრძელებდნენ სტუდენტები სწავლას. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 12 ფაკულტეტია, აქედან 9 საინჟინრო ფაკულტეტია, რომელთა რამდენიმე თვეში მომზადებაც შეუძლებელია. შესაბამისად, როდესაც დაისვა ეს საკითხი, ცენტრის წარმომადგენელმა თქვა, რომ რეაკრედიტაციაზე შემოსული პროგრამები შემოვიდეს არსებული სახით, მაგრამ ახალი პროგრამები უნდა მოერგოს დარგობრივ მახასიათებელს. ასევე, მათ აქვთ მომზადებული კურსები ძლიერი და სუსტი ჯგუფებისთვის. შესაბამისად, ისინი ეთანხმებიან ექსპერტების რეკომენდაციას, რომ გამარტივდეს გარკვეული საგნები, თუმცა მათი შეთავაზება, გაერთიანდეს გარკვეული საგნები და 5 კრედიტიან საგნად გადაკეთდეს, ეს შეუძლებელია, რადგან დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვს ფონეტიკის სწავლებას და ასევე დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვს, სტუდენტმა იცოდეს ზმნის უღლებაც, რიცხვიც, პირიც, რთული და მარტივი წინადადებების ასება და ა.შ. ამიტომ, რეკომენდაციას არ ეთანხმებიან, ასევე, რაც შეეხება სასწავლო კურსების გაერთიანებას, ვერც ამას დაეთანხმებიან. ისინი გააკეთებენ ორ-ორ ვერსიას, მარტივსა და რთულს, მაგრამ ზეპირმეტყველების და წერითი მეტყველების ნაწილების გაერთიანება ვერ მოხდება.

პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, 2010 წელს, როდესაც ამუშავდა ეს პროგრამა, მათ დაამატეს საგანი „ლინგვო - ქვეყანათმცოდნეობა", რომელსაც საფუძვლად უდევს ენა კულტურით და კულტურა ენით. მათი მიზანი იყო, მოკლე ტექსტების გაცნობა სტუდენტებისთვის, რომელიც მორგებული იქნებოდა

ქართლი კულტურის, მენტალობისა და ისტორიის თუ მწერლობის შინაარსებთან და პრობლემებთან, რაც უზრუნველყოფდა სტუდენტებისთის ქართულ კულტურაზე წარმოდგენის შექმნას. ხოლო იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინათ საგნებს შორის კვეთა, მათ „ლინგვო - ქვეყანათმცოდნეობა", რომელიც ორსემეტრიანი გახლდათ, გაამარტივეს, შეკვეცეს და ერთსმესტრიანი გახადეს. მეორე სემესტრში კი დაემატა ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ელემენტები, რაც მულტიკულურულ გარემოში ურთიერთობის ელემენტებს შეასწავლიდა. შესაბამისად, თუ ერთ შემთხვევაში ქართული ენაა წამოწეული, მეორე შემთხვევაში ინტერნაციონალური ურთიერთობებია წამოწეული. საქართველოს ისტორიული წარსული ამ მხრივ შესანიშნავ მაგალითებს იძლევა, თემატიკის სწავლება კი შეთანხმებულია ყველა უნივერსიტეტთან, რომელიც ასეთივე პროგრამას ახორციელებს, იმისთვის, რომ ამ საგნის მოცულობა დადგინდეს.

ნინო პოპიაშვილმა დასძინა, რომ იმ ფორმით და სილაბუსებით, რითაც მიმდინარეობს სწავლება, პროგრამა შედეგებზე ვერ გავა, რადგან იქ პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები არ გამოიყენება. გარდა ამისა, ქართული ლიტერატურის ელემენტების ჩართვა, იმ სახით, რა სახითაც წარმოდგენილია სილაბუსებში, არ არის პროგრამის მიზანი არც ძველი და არც ახალი ვერსიით. მისი თქმით, მათ აუხსნეს დაწესებულებას, თუ რა არის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის მიზნები და ამოცანები და როგორ შეიძლება მისი მოდიფიცირება.

ირაკლი ბურდულის თქმით, დასკვნაში სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ამ დროს კი, ექსპერტების თქმით, პროგრამა შედეგზე ვერ გავა. შესაბამისად, თუკი პროგრამის მიზანსა და შედეგს შორის კორელაცია არ არის, მაშინ სტანდარტი შეუსაბამო უნდა იყოს მოთხოვნებთან. ანუ, თუ არც საგნები ვარგა და არც მეთოდოლოგია, ხოლო მიზანსა და შედეგს ვერ აღწევენ, მაშინ ეს შეუსაბამობაა და არა მეტწილი, რადგან მეტწილი ნიშნავს, რომ პროგრამაში არის გარკვეული პრობლემები, მაგრამ გამოსწორებადია, რაზეც ნინო პოპიაშვილმა უპასუხა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ არჩევანი, ან მხოლოდ პროგრამის შიგნით ემუშავათ ან ახალი ჩარჩოთი, რომლისკენაც პროგრამა აუცილებლად უნდა წავიდეს. დასკვნაში რომ წერია, რომ ბევრი ხარვეზია პროგრამაში, ამაში ბევრი რამ მოიაზრებოდა და დაწესებულებასაც განემარტა, რომ ეს სილაბუსები უნდა გადაკეთდეს.

ირაკლი ბურდულის თქმით, აქ საუბარია იმაზე, რომ პროგრამა უნდა დაიხვეწოს, ხოლო ამისთვის, აუცილებელია, პროგრამას ჰქონდეს პერსპექტივა, რადგან უპერსპექტივო პროგრამა ვერ დაიხვეწება, არამედ, ასეთი პროგრამა მთლიანად უნდა შეიცვალოს და ახალი პროგრამა დაიწეროს. რაზეც ნინო პოპიაშვილიც დაეთანხმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართულ ენაში იმ ცოდნის მიცემა იმ დონეზე, რაც აუცილებელია საბაკალავრო დონეზე სწავლის გასაგრძელებლად. შესაბამისად, მათი სასწავლო კურსების მიზნები შედეგებამდე მიდის და დარგობრივ მახასიათებელსა და უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან შესაბამისობაშია. მათი კურსდამთავრებულები კი წარმატებით საქმდებიან, მათ შორის სასამართლოში თარჯიმნებად და თუკი პროგრამა სწავლის შედეგებზე ვერ გადის, მაშინ სტუდენტები როგორ ახერხებენ დასაქმებას?

გიორგი თურქიამ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, აეხსნათ, რა დროა საჭირო სუსტი და ძლიერი ჯგუფების დაყოფას გადასასვლელად, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ახალ მოთხოვნებთან მორგება ძნელი არ არის, უბრალოდ, მათ არ ჰქონდათ ამისთვის საკმარისი დრო, რადგან მათ ეს პროგრამა 2019 წლის ივნისში წარმოადგინეს, ხოლო 2020 წლის 1 ივნისს მათი პროგრამა მზად იქნება.

საბჭოს თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 17:20

დამთავრების დრო 17:32

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის საკითხი მონიტორინგის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასება

საბჭომ არ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი რეკომენდაცია:

ა) საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტის „ ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს სტუდენტის საწყისი ენობრივი კომპეტენციები პირველი სემესტრის დასაწყისში პრეტესტების საფუძველზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება

- ➢ აკრედიტაციის შესახებ
- ☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 7 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის თაობაზე, მონიტორინგის განხორციელების პირობით 2020 წლის 09 ნოემბერს.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[46]	ქართულ ენაში მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[47]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 24 სექტემბერი, №449; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 07 სექტემბრის №1881 განკარგულების საფუძველზე - 2018 წლის 31 დეკემბერი; ცენტრის დირექტორის 2017 წლის 10 ოქტომბრის №646 ბრძანებით - 2019 წლის 31 დეკემბერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[48]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[49]	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[50]	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[51]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[52]	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი[53]	საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N77
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 09 მარტი

[46] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[47] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[48] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[49] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[50] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[51] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[52] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[53] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[54]	მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა-8 თვე (2020 წლის 09 ნოემბერი)
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2017 წლის 09 მარტი

4. მეოთხე საკითხი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[55]	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[56]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 13 დეკემბრის №279
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[57]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[58]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[59]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[60]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[61]	0503
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[62]	საქართველო 0160, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №69, II კორპუსი

[54] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[55] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[56] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[57] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[58] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[59] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[60] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[61] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[62] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[63]	-
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

საბჭოს წევრის სახელი, გვარი -დიმიტრი გეგენავა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რევაზ კორაშვილმა დაიწყო მოხსენება და თქვა, რომ პროგრამაზე ჯგუფს ჰქონდა 14 რეკომენდაცია, რაც შეეხება სტანდარტებს, ერთი, სტანდარტი მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია, ორი - მეტწილად, ორი კი - ნაწილობრივ შესაბამისობაში. მისი თქმით, ლაბორატორიებთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული პრობლემები დაწესებულებაში, რადგან არ არის სრულყოფილად აღჭურვილი და აუცილებელია ახალი ლაბორატორიების შექმნა და შესაბამისად აღჭურვა, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ პრაქტიკულ მეცადინეობებში. რაც შეეხება სილაბუსებს, ზოგ მათგანში საჭიროა პრერეკვიზიტების ჩამატება და გადახალისება. კვლევითი კომპონენტის გაძლიერება აუცილებელია, რადგან კვლევაში მხოლოდ ის სტუდენტები არიან ჩართულნი, ვისაც გრანტი აქვს მოგებული და ექსპერტთა ჯგუფის აზრით, საჭიროა, ყველა სტუდენტი თანაბრად იყოს ჩართული კვლევებში და კარგი იქნება, საბოლოო ნაშრომში გაიწეროს კვლევითი კომპონენტი.

ირაკლი ბურდული დაინტერესდა ეს პროგრამა უზრუნველყოფს თუ არა სტუდენტის სწავლის შედეგზე გასვლას, რაზეც რევაზ კორაშვილმა უპასუხა, რომ ნაწილობრივ უზრუნველყოფს.

ირაკლი ბურდული ასევე, დაინტერესდა, რას ნიშნავს სტუდენტის კვლევაში ჩართვა? რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ სტუდენტებს უწევთ სხვადასხვა მასალის გაცნობა და გზების ძებნა და პროფესორის დახმარებით შეძლებს, ხელით შეასრულოს გარლვეული ცდები, ასევე, მოაგროვოს მონაცემები,

[63] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

ანალიზი ჩაატაროს და ამის შესახებ დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი. მისივე თქმით, სასურველია პერსონალის განახლება ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული მუშაობისთვის. მისი თქმით, რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი ეხებოდა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ, რამდენიმე ლაბორატორია შევიდა ექსპლუატაციაში, მათ შორის ერთი ორგანული, ერთი კი - ფიზიკური ქიმიისა, მიმდინარე წელს კი იგეგმება კიდევ რამდენიმე ლაბორატორიის განახლება-აღჭურვა, რაც საბოლოო ჯამში 70-მდე ინდივიდუალურ სამუშაო ადგილს შექმნის სტუდენტებისთვის. რაც შეეხება სტუდენტების კვლევებში ჩართვას, მათ შეუძლიათ, მიიღონ მონაწილეობა კონკურსში, რომელიც ტარდება უნივერსიტეტში და გამარჯვების შემთხვევაში მიიღონ შესაბამისი დაფინანსება, ჩაატარონ კვლევები და მიიღონ მონაწილეობა კონფერენციაში.

მისივე თქმით, პროგრამას აქვს 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც აპირებენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულ რეაბილიტაციას და შესაბამისი აპარატურის შეძენას.

რაც შეეხება სილაბუსების შინაარს, ზოგიერთ მათგანში გარკვეული საკითხები იმიტომ არ არის ნახსენები, რომ ეს საკითხები მოცემულია სხვა სილაბუსებში და კვეთა რომ არ მომხდარიყო, საკითხები არ გაამეორეს სხვადასხვა სილაბუსებში. პრერეკვიზიტების შესახებ რეკომენდაციას კი გაითვალისწინებს დაწესებულება.

ზოგადად კი, დაწესებულებამ ყველაზე უკეთ იცის, თუ რა სახის პრობლემები აქვთ და გამუდმებულად მუშაობენ მათ აღმოსაფხვრელად, მითუმეტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშში ასახეს კიდეც ეს ინფორმაცია, რომ პროგრამას ბევრი გასაუმჯობესებელი მხარე აქვს.

რევაზ კორაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ატომურ-აბსორციული და ულტრა იისფერი არ უჩვენებიათ ექსპერტებისთვის, თორემ ამის შესახებ დასკვნაში არ დაწერდნენ რეკომენდაციას. დაწესებულების წარმომაგდენელმა კი აღნიშნა, რომ ულტრა იისფერი დგას ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში, ატომურ-აბსორციული კი გარემოს დაცვის მე-6 სართულზეა, სადაც ვიზიტის დროს ასვლა ვერ მოესწრო დროის სიმცირის გამო და შესაბამისად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფილად ჩვენება ვერ მოხერხდა.

რევაზ კორაშვილის თქმით, გასაგებია ის პრობლემები და ბიუროკრატია, რასაც დაწესებულება აწყდება შესყიდვების დროს და შესაბამისად, ტექნიკის ერთიანად ყიდვა არ არის საჭირო და შესაძლებელია, ეტაპობრივი შეძენა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ძალიან ძნელია ყველა აპარატის შეძენა და ლაბორატორიის სრულად აღჭურვა, თუმცა ისინი მუშაობენ ამ მიმართულებით და ცდილობენ, მაქსიმალურად დახვეწონ სტუდენტებისთვის სამუშაო გარემო. რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, მისი თქმით, სამაგიდო კვლევა არ არის ქიმიკოსისთვის რელევანტური, რადგან ქიმიკოსმა უნდა იცოდეს, თუ როგორ იმუშაოს ხელით.

ირაკლი ბურდულის თქმით, აუცილებელია, სახელმწიფო ჩაერთოს და შეიქმნას კონსორციუმი უნივერსიტეტებისთვის, რათა მათ ჰქონდეთ თავისუფალი წვდომა ერთმანეთის რესურსებზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი შესაძლებლობებით.

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობის რუკით. როგორც ითქვა, რეკომენდაციები ძირითადად ეხება სასწავლო რესურსებს, რაზეც დასკვნაში წერია,

რომ მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან. პრობლემა კი, რაზეც საბჭომ უნდა იმსჯელოს, არის ის, თუ რამდენად არის პირველი და მეორე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან, ანუ რატომ დაიწერა ექსპერტთა მხრიდან ასეთი შეფასება? დაწესებულებას კი ჰკითხა, სტუდენტების სხვადასხვა საგრანტო პროექტებში ჩართვისთვის თუ არსებობს რაიმე მექანიზმი და გრანტის გაცემის წესი და რა თანხებზეა საუბარი? რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საგრანტო თანხა შეადგენს 6000 ლარს, რომელიც ნაწილდება 3-4 სტუდენტსა და ერთ კონსულტანტზე, რომელიც უნდა გაიხარჯოს 6 თვის მანძილზე. პროექტი იწყება ოქტომბრიდან და გრძელდება მარტამდე, რასაც მოჰყვება სტუდენტური კონფერენცია და ამ კონფერენციაზე უნდა მოხდეს იმ ნამუშევრის წარდგენა, რომელიც შეიქმნა ხსენებული გრანტის ფარგლებში.

ნიკა თიკანაშვილის თქმით, ექსპერტებს რჩევაში უწერიათ ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება და დაინტერესდა, ეს რეკომენდაციის ნაწილი უფრო ხომ არ არის, მითუმეტეს, როდესაც კვლევების გაზრდასა და ინტერნაციონალიზაციაზეა საუბარი, რაზეც რევაზ კორაშვილმა უპასუხა, რომ რეკომენდაციაში არ ჩაწერა, რადგან უნივერსიტეტს არ აქვს ინგლისური ენა სავალადებულო ჩამონათვალში.

საბჭოს წევრი, გურადნა ჭელიძის თქმით, მან ნახა პროგრამის წინა აკრედიტაციის ოქმი, სადაც შენიშვნის სახით ეწერა, რომ სასურველი იქნებოდა „უცხო ენა 4" ითვალისწინებდეს დარგობრივი ლექსიკის თემატიკას ან დაემატოს დარგობრივი ქიმია, თუმცა ეს რჩევა დაწესებულებას არ გაუთვალისწინებია. შესაბამისად, ის დაინტერესდა, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა B2 დონის ფარგლებში სტუდენტებისთვის შეეთავაზებინათ დარგობრივი ტექსტები ინგლისურ ენაზე, რაზეც რევაზ კორაშვილმა უპასუხა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე იწვევს პირველი სტანდარტის დარღვევას, რადგან ქიმია არის პროფესიაც და ხელობაც, ანუ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს ხელით მუშაობა, სინთეზების ჩატარება და ა.შ. მაგრამ ამას ვერ გააკეთებს, თუ არ აქვს შესაბამისი ლაბორატორია და ვერ გავა იმ შედეგზე, რაზეც უნდა გავიდეს.

რევაზ კორაშვილის თქმით, ინგლისური ენის ცოდნა ქიმიკოსისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ტექნიკური ლიტერატურა და სტატიები უმეტესად ინგლისურ ენაზე ქვეყნდება და სხვა ენების ცოდნაც კი ვერ გადაწონის ინგლისური ენის არცოდნას, თუმცა ამის გამო პროგრამის დახურვა სწორად არ მიაჩნია და ზუსტად ამიტომ არ ჩაიწერა ეს საკითხი რეკომენდაციად.

დაწესებულების წარმომადგენელმა კი აღნიშნა, რომ საბაკალავრო დონეზე საკმარისად არის ქართულენოვანი ლიტერატურა და სწორედ ამიტომ არ აქვს პროგრამას დაშვების წინაპირობა, განსხვავებით სხვა პროგრამებისგან, სადაც დაშვების წინაპირობები არსებობს.

ნიკოლოზ კიკნაძე დაინტერესდა, რამ გამოიწვია რეკომენდაცის დაწერა იმის შესახებ, რომ ყველა სტუდენტს თანაბრად მისცემოდა კვლევებში მონაწილეობის უფლება? ანუ ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ ყველა სტუდენტს არ ჰქონდა ექსპერიმენტში მონაწილეობის უფლება, რაზეც რევაზ კორაშვილმა უპასუხა, რომ რასაც დაწესებულება ლაბორატორიას უწოდებდა, რეალურად იყო აუდიტორია, კუთხეში კი იდგა კარადა და მაგიდა, სადაც პედაგოგს შეეძლო საჩვენებელი ცდის ჩატარება, თუმცა ყველა სტუდენტი იქ ფიზიკურად ვერ იმუშავებდა. სტუდენტებმაც დააფიქსირეს ეს პოზიცია, რომ ყველა ვერ იღებდა ცდებში მონაწილეობას.

ირაკლი ბურდული დაინტერესდა პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა მიუგო, რომ პროგრამაზე სულ 170 სტუდენტია.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 18:21

დამთავრების დრო 18:51

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნიბვერსიტეტის „ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის შესახებ.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

- ☐ აკრედიტაციის შესახებ
- ➢ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5 და მე-7 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნიბვერსიტეტის „ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის თაობაზე.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[64]	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

[64] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

3	სტატუსი[65]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 13 დეკემბრის №279
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[66]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[67]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[68]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[69]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[70]	0503
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[71]	საქართველო 0160, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №69, II კორპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 13 დეკემბერი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	-

[65] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[66] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[67] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[68] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[69] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[70] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[71] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[72]	
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2021 წლის 13 დეკემბერი

5. მეხუთე საკითხი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[73]	სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[74]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 13 დეკემბერი, №280
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[75]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[76]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[77]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[78]	-

[72] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[73] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[74] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[75] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[76] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[77] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[78] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[79]	0711
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[80]	საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №69, სასწავლო კორპუსი №2
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[81]	-
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

საბჭოს წევრის სახელი, გვარი - დიმიტრი გეგენავა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის მოსაზრებები

ექსპერტმა დაიწყო მოხსენება ვიზიტის შესახებ. მისი თქმით, ისინი შეხვდნენ პერსონალსა და სტუდენტებს და დაწერეს შესაბამისი დასკვნა. რაც შეეხება რეკომენდაციებს, პირველი რეკომენდაცია გახლდათ, შეიცვალოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ჩამოყალიბდეს როგორც სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი. საწარმო პრაქტიკა ჩატარდეს რეალური შინაარსით და დაინერგოს საწარმოო პრაქტიკის შედეგების შეფასების ქმედითი მექანიზმით. მოწესრიდგეს საწარმოო პრაქტიკის ამსახველი

---

[79] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[80] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[81] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

დღიურების წარმოების პროცესი. კერძო სასურსათო პროდუქტების, საკონდიტრო, ხორცი, რძე და სხვა, ინჟინერიის და დაპროექტების საფუძვლების ნაცვლად ისწავლებოდეს საწარმოთა დაპროექტების საფუძვლები. გაძლიერდეს სტუდენტთა ჩართვა პრაქტიკულ, სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. საწარმოო პრაქტიკები ჩატარდეს სტუდენტთა აქტიური ჩართულობით წარმოების პროცესში. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი დაინერგოს პროგრამის სწავლების შედეგების შესაბამისად. უნივერსიტეტში შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურა, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ პრაქტიკულ და კვლევით საქმინობაში. კურიკულუმს დაემატოს საგანი „ზოგადი ბიოლოგია". პროგრამის ხელმძღვანელი უფრო აქტიურად ჩაერთოს სილაბუსების შემუშავებასა და რედაქტირებაში. გაძლიერდეს სტუდენტთა მონაწილეობაპრაქტიკულ, სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. გაძლიერდეს ლაბორატორიული მეცადინეობების წილი სილაბუსებში. ზოგადი მიკრობიოლოგიის ლექტორად მოწვეულ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი და ბოლოს, მნიშვნელოვნად განახლდეს და გაძლიერდეს ლაბორატორიების აღჭურვილობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა რეკომენდაციების შესახებ და თქვა, რომ ლაბორატორიები, რომლის განახლების შესახებაც მან ისაუბრა ქიმიის პროგრამასთან მიმართებით, ეხება სასურსათო ინჟინერიის პროგრამასაც და ორივე მიმართულების სტუდენტები შეძლებენ უკვე განახლებული ლაბორატორიების გამოყენებას. რაც შეეხება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამამ ეს კვალიფიკაცია მიიღო მაშინ, როდესაც 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია, თუმცა ცენტრის მხრიდან ამაზე შენიშვნა არ მიუღიათ, მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშს ყოველწლიურად გზავნიან ცენტრში და შესაბამისად, ახლაც იგივე კვალიფიკაცია დატოვეს თვითშეფასების ანგარიშში. რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის წარმართვისა და შეფასების მექანიზმს, ეს მექანიზმი არსებობს უნივერსიტეტში და წარმოდგენილი იყო კიდეც იმ დანართებში, რომელიც უნივერსიტეტმა წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადთან ერთად. სტუდენტების მონაწილეობა კი, საწარმოო პროცესში, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან, მწარმოებლები არცთუ ადვილად თანხმდებიან პროცესში სტუდენტთა ჩართვაზე, მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება მაგალითად, რძის პროდუქტების წარმოებას, რადგან ეს ძალიან სპეციფიკური პროცესია, თუმცა, ამაზე მუშაობა მიმდინარეობს და უნივერსიტეტი მაქსიმალურად შეუწყობს ხელს სტუდენტთა ჩართვას საწარმოო პროცესში. მისი თქმით, რეკომენდაცია, რომელიც ეხება სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობაში, უკვე სრულდება, რადგან ეს პროცესი უკვე დაწყებულია, თუმცა, ეს გარკვეულწილად სცდება პროგრამის კომპეტენციას. რაც შეეხება სილაბუსებში ლაბორატორიული მეცადინეობის კომპონენტის გაძლიერებას, მისი თქმით, პროგრამაზე სულ 68 სილაბუსია, რომლის ნაწილი არის ისეთი ჰუმანიტარული საგნები, რომელსაც ლაბორატორიული მეცადინეობის კომპონენტი ფიზიკურად ვერ ექნება, ხოლო დარჩენილი 32 კურსიდან 22 კურსს აქვს ლაბორატორიული მეცადინეობა, ხოლო 7 კურსს აქვს საკურსო პროექტი. ზოგადი მიკრობიოლოგიის პედაგოგი კი, ნამდვილად არის ძალიან დიდი გამოცდილების მქონე, თუმცა მიკრობიოლოგის განათლება არ აქვს, რადგან ის არის კვების ტექნოლოგი და გავლილი აქვს მიკრობილოგიის კურსები, თუმცა ისინი უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგთან და მომავალი წლის პირველ სემესტრში უკვე მოწვეული იქნება.

ირაკლი ბურდული დაინტერესდა, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს კვალიფიკაცია, რადგან ეს არ შეესაბამება კვალიფიკაციის ჩარჩოს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჩარჩოში არის ასეთი კვალიფიკაცია "ქიმიისა და ბიოლოგიის ინჟინერიის ბაკალავრი", მაგრამ დაწესებულების წარმომადგენელთა აზრით, პროგრამის შინაარსი არ შეესაბამება აღნიშნულ კვალიფიკაციას, რადგან არცერთი საგანი არ ასწავლის არც ქიმიურ და არც ბიოლოგიურ ინჟინერიას.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

ირაკლი ბურდულმა კი დააზუსტა, რომ სწორედ აინტერესებდა, შინაარსი ამართლებს თუ არა სახელწოდებას? ანუ ფორმალური სახე არ უნდა ჰქონდეს ამ ყველაფერს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა და აღნიშნა, რომ არ არსებობს არცერთი საგანი, რომელიც ქიმიურ ინჟინერიას ასწავლის ამ პროგრამაში, თუმცა, პროგრამამ ამ კვალიფიკაციით გაიარა აკრედიტაცია და ის შესაბამისი იყო 120ნ-თან, სადაც ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟნერიაში იყო ჩანაწერი სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია, შესაბამისად, არც აკრედიტაციის და არც თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის დროს, რეკომენდაცია არ ყოფილა კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით. თუმცა, ახალ კლასიფიკატორში სასურსათო ინჟინერია ცალკე გამოიყო, მაგრამ პროგრამა მანამდე იყო მომზადებული, სანამ 69ნ ბრძანება მოქმედებაში მოვიდოდა. ის პროცესები, რაც ხდება ქიმიურ ტექნოლოგიაში, დიდწილად იგივეა, რაც სასურსათო ტექნოლოგიაში. ამიტომ, უნივერსიტეტში ახლა იქმნება ლაბორატორია, რომელიც იქნება უნიფიცირებული როგორც ქიმიური, ისე სასურსათო ტექნოლოგიებისთვის. პროცესები და აპარატები ორივე მიმართულებაზე ერთიდაიგივეა, უბრალოდ, თვითონ გადასამუშავებელი სუბსტანციები განსხვავდება ერთმანეთისგან.

ირაკლი ბურდულმა დააზუსტა, რომ ამ შემთხვევაში, ის კი არ არის მნიშნელოვანი, საბჭო რას იტყვის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, არამედ, ღავად დაწესებულების წარმომადგენლები რას ფიქრობენ, უკეთესი იქნება თუ არა სახელწოდების შეცვლა? რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შეიძლება შეიცვალოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ამით სტუდენტების კვალიფიკაცია არ შეიცვლება.

გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ აქ საუბარია იმაზე, რომ კვალიფიკაციაში ჩაიწეროს ის, რასაც ასწავლიან სტუდენტებს.

თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ ეს კვალიფიკაცია 69ნ-ში სულ სხვა დეტალური სფეროა განსხვავებული მოთხოვნებით და ამას მხოლოდ 120ნ ითვალისწინებდა. თვითშეფასებაში კი, რომელიც საბჭოს მიეწოდა, წერია ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრის კვალიფიკაცია და მითითებულია კოდი 0711, რაც შესაბამისობაშია ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, თუმცა, ექსპერტის რეკომენდაცია არის ის, რომ სრულებით იცვლება დეტალური სფერო, რადგან წარმოდგენილი პროგრამა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში არ მოდის. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელიც დაეთანხმა.

ირაკლი ბურდული კი დაინტერესდა, რა გამოსავალს ხედავენ ამ მდგომარეობიდან? მისი თქმით, წარმოუდგენელია, შინაარსი სხვა იყოს, მისანიჭებელი კვალიფიკაცია სხვა და ეს პროგრამა შედეგებზე გადიოდეს.

გიორგი თურქია დაინტერესდა რა ტიპის მომზადება მიმდინარეობს პროგრამაზე, ანუ სტუდენტმა უნდა იცოდეს მაგალითად ხილფაფის მომზადების ტექნოლოგია, თუ თავად უნდა ამზადებდეს ხილფაფას? რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც ტექნოლოგიის, ისე ინჟინერიის ცოდნა.

გიორგი თურქიამ ჰკითხა ექსპერტებს, იმ პირობებში, როდესაც პროგრამაზე ძალიან ბევრი საგანია, რამდენად შეძლებს სტუდენტი გავიდეს შესაბამის ცოდნაზე? რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მეოთხე რეკომენდაციაში პირდაპი წერია, კერძო სასურსათო პროდუქტების: პური, საკონდიტრო, ხორცი, რძე და სხვა, ინჟინერია და დაპროექტების საფუძვლების ნაცვლად, ისწავლებოდეს ზოგადი საგანი „კვების საწარმოთა დაპროექტების საფუძვლები“.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ჩამოთვლილი საგნები არ არის სასურსათო ტექნოლოგიიდან, რადგან მისი საგნები დიდწილად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა აუცილებელლია, სტუდენტს ჰქონდეს ცოდნა ყველა ამ კერძო ტექნოლოგიის შესახებ.

გიორგი თურქია დაინტერესდა, უნდა არსებობდეს თუ არა ხარისხის კონტროლის საგანი? თუ მაგალითად, საწარმოებზე ვსაუბრობთ, ოპერაციათა კვლევის საკითხები, იგივე დანადგარების ოპერაციული განლაგება არ უნდა იყოს გათვალისწინებული? რადგან საკმაოდ ფართოა ეს მოცემულობა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაპროექტების საფუძვლების სწორედ იმას გულისხმობს, თუ როგორ უნდა მოხდეს დანადგარების განლაგება და ეს საგანი სწორედ ამას გულისხმობს, რომ კურსდამთავრებულს შეეძლოს საწარმოს დაგეგმვა და მისი წარმადობის განსაზღვრა.

ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ საწარმოო პრაქტიკისთვის მინიჭებულია 5 კრედიტი და რამდენად საკმარისია ეს რაოდენობა? მითუმეტეს, რომ ადამიანის ჯანმრთელობასთან არის კავშირში ეს პროგრამა და საინტერესოა, რადმენად არის გაზიარებული საერთაშორისო პრაქტიკა? სხვადასხვა მიმართულებით სპეციალიზაცია ხომ არ ხდება სტუდენტებისა ან პროფესიული მომზადების პროგრამები ხომ არ არის რაზეც, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ აქვთ ჩარჩო-დოკუმენტი, სადაც სხვადასხვა სპეციალობის რამდენიმე მოდულია, მაგრამ საერთაშორისო მასშტაბით ისწავლება სასრსათო წარმოების ზოგადი ტექნოლოგია, რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს, პროცესებში მარტივად ჩაერთოს.

ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა, სად გადიან სტუდენტები პრაქტიკას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი პრაქტიკებს გადიან ტკბილ ქვეყანაში, მითანაში, იფქლში და ა.შ.

ნიკა თიკანაშვილი ასევე დაინტერესდა, როგორია დასაქ,ების მაჩვენებელი?

დაწესებულების თქმით, პროგრამამ კურსდამთავრებულები გამოუშვა 2019 წლის აგვისტოში და დაახლოებით 60% დასაქმებულია.

გიორგი თურქია დაინტერესდა, ისწავლება თუ არა სურსათის ტექნოლოგია სხვა ფაკულტეტზეც?

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს ტექნოლოგია სხვა ფაკულტეტზეც ისწავლება.

ლევან გულუამ აღნიშნა, რომ არსებობს ასეთი სპეციალობა ინჟინერ-მექანიკოსი, რომელიც სწავლობს მასალათგამძლეობა, მასალათმცოდნეობა, მანქანის დეტალები და ა.შ. მაგრამ ამ პროგრამის შინაარსი სხვა რამეა, ანუ აქ ისწავლება დანადგარების ექსპლუატაცია ანუ, მაგალითისთვის, ადამიანმა შეიძლება იცოდეს მანქანის მართვა, მაგრამ არ იცოდეს, როგორ მუშაობს შიდა წვის ძრავა. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, არ არის საჭირო საგანთა ჩაშლა, არამედ საჭიროა საერთო პრინციპის სწავლება.

ირაკლი ბურდული დაინტერესდა, პროგრამისთვის შანსის მიცემის შემთხვევაში, როგორ მოგვარდება კვალიფიკაციის ცვლილების პრობლემა? რადგან ახლა სულ სხვა კვალიფიკაცია ენიჭება, რომელიც, როგორც აღინიშნა, უნდა შეიცვალოს და როდესაც სტუდენტკმა ერთ პროგრამაზე ჩააბარა და კვალიფიკაციის ცვლილების შემდეგ სულ სხვა პროგრამაზე აღმოჩნდება, როგორ უნდა მოგვარდეს ეს ტექნიკურად, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია შიდა მობილობის გამოყენება.

სათათბირო შესვენება

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

დაწყების დრო 19:55

დამთავრების დრო 20:15

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ საქმის მასალების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის შედეგად მიიჩნია, რომ 1.1. კომპონენტი - პროგრამის მიზნები ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", შესაბამისად, საბჭოს მიერ პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭომ დაადგინა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული კვალიფიკაცია - "სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალავრი" არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ კი საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების დანართი №4-ით გათვალისწინებულ ფორმულირებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 7

გადაწყვეტილება

- ☐ აკრედიტაციის შესახებ
- ☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ➢ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყიტა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარი.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[82]	სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[83]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 13 დეკემბერი, №280
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[84]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[85]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[86]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[87]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[88]	0711
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[89]	საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №69, სასწავლო კორპუსი №2
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 09 მარტი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	-

[82] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[83] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[84] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[85] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[86] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[87] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[88] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[89] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[90]	
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

6. მეექვსე საკითხი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[91]	არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[92]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 13 დეკემბრის №286
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[93]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[94]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[95]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[96]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	კვალიფიკაციის კოდი[97]	0222
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[98]	საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77, VI კორპუსი

[90] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში
[91] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[92] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[93] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[94] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[95] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[96] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[97] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[98] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[99]	-
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

საბჭოს წევრის სახელი, გვარი -დიმიტრი გეგენავა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

მეექვსე საკითხის ზეპირი განხილვა

ექსპერტ(ებ)ის მოსაზრებები

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაიწყო მოხსენება ვიზიტის შესახებ და ჩამოთვალა ის რეკომენდაციები, რომელიც გაიცა მათ მიერ. მისი თქმით, არქეოლოგიის პროგრამა სრულად აკმაყოფილების მე-3 და მე-5 სტანდარტებს, მეტწილად აკმაყოფილებს პირველ და მე-4 სტანდარტებს და ნაწილობრივ შესაბამისობაშია მეოთხე სტანდარტი. რაც შეეხება რეკომენდაციებს, სასწავლო კურსები მინერალოგიის შესავალი და მინერალოგია შინაარსობრივად სრულ თანხვედრაშია და გაუბარია, რა საჭირო ორი ასეთი კუსრის არსებობა? აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის პროფესიონალი არქეოლოგი და მათ რიგებში ჭარბობს მომიჯნავე დარგთა სპეციალისტების რაოდენობა, კერძოდ, გეოლოგები და მინერალოგები, რაც პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ნაწილობრივ მისაღებია, თუმცა პროგრამის განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია პროგრამის ამ კუთხით მოდიფიცირება და პროფესიონალი არქეოლოგების ჩართვა. სავალდებულო კურსებში მოცემულია საველე არქეოლოგიის 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი 15 სალექციო და 30 პრაქტიკის საათობრივი განაწილებით, საველე არქეოლოგიის 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი 60 საათაინი საველე პრაქტიკით და 5 კრედტიანი სასწავლო კურსი სტაციონარული გათხრები, 60 საათიანი საველე პრაქტიკით. გამომდინარე იქიდან, რომ ამ კურსების თემები ერთმანეთთან თანხვედრაშია, უმჯობესია, მოხდეს მათი გაერთიანება და მოდიფიკაცია. სასწავლო კურსს „საქართველოს არქეოლოგია", შეეცვალოს სახელწოდება ან მოხდეეს მისი მოდიფიკაცია, რადგან სილაბუსი არ პასუხობს კურსის შინაარსს. სასწავლო კურსის „შრომის უსაფრთხოება არქეოლოგიაში" სილაბუსი, 4 კრედიტს მოიცავს,

[99] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

15 ლაბორატორიული საათის გადანაწილებით, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ კურსი უფრო მეტადაა მორგებული საწარმოო-სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებს. ამდენად, სასურველია, კურსი მოდიფიცირდეს და უფრო მეტად შევიდეს მასში უშუალოდ საველე არქეოლოგიის უსაფრთხოების საკითხები. მნიშვნელოვან განახლებას საჭიროებს სასწავლო კურსი „ნიმიზმატიკა", რადგან ლექტორი არ არის ამ დარგის სპეციალისტი და მის ნაშრომებში არ ჩანს არცერთი კვლევა ამ მიმართულებით, რაც მკვეთრად ეტყობა სილაბუსს, რადგან ეს არის არა ნუმიზმატიკა, არამედ ქართული ნუმიზმატიკა. ამასთან, კურსი მთავრდება მე-13 საუკუNიტ და საერთოდ არ ეხება მე-14 - მე-19 საუკუნეების ქართულ ნუმიზმატიკას. მნიშვნელოვან განახლებას საჭიროებს სასწავლო კურსი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები", ვინაიდან შინაარსი და თემატიკა გაფანტულადაა წარმოდგენილი. ძირითადი აქცენტი სასულიერო კულტურის ძეგლებზეა და საერთოდ არ ჩანს არქიტექტურა. მე-19 - მე-20 საუკუნის ხელოვნებასთან დაკავშირებით ნახსენებია მხოლოდ თბილისი და არ ჩანს სხვა ურბანული გეგმარების ძეგლები. გასაუბრებისა და ლექტორთა ბიოგრაფიების გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ ლექტორთა ნაწილს არ აქვს გარკვეული საგნების სწავლების გამოცილება, რაც უარყოფითად ისახება სილაბუსზე. ეს საგნებია „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია", „საქართველოს ისტორიული ეთნოლოგია", „ჰერალდიკა". ასევე, საგნის „პალეოგრაფია" სილაბუსის ავტორს, ბოლო 5 წლის მანძილზე პროგრამაზე არ წაუკითხავს არცერთი საგანი, ამავე დროს, ის ფიქსირდება სავალდებულო საგნის სილაბუსის ავტორად, ლექციებს კი ატარებს სხვა ლექტორი, რაცა ასევე გამოსასწორებელია. კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას, რომ კურსდამთავრებულმა ვერ დაასახელა რამდენიმე თვის წინ დაცული საბაკალავრო ნაშრომის სათაური. პროგრამის მიხედვით ნაშრომს აფასებს სამკაციანი კომისია. ექსპერტთა ჯგუფის აზრით კი, სტუდენტთა მოტივაციის გაზრდის, საბაკალავრო ნაშრომის ხარისხის ამაღლებისა და შეფასების მეტი ობიექტურობისთვის აუცილებელია კომისიის წევრთა რაოდენობის გაზრდა და სპეციალისტთა მეტი ჩართულობა. 2015 წელს, არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღებული 20 სტუდენტიდან, დიპლომი მიიღო მხოლოდ სამმა და არცერთმა მათგანმა სწავლა არ გააგრძელა მაგისტრატურაში. ექსპერთტა ჯგუფის აზრით, აუცილებელია როგორც კურიკულუმის გადახალისება, ისე სამეცნიერო პერსონალის გამრავალფეროვნება და სტუდენტებისათვის სტაჟირების პროგრამების უზრუნველყოფა. ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების სისტემა შეცდომითაა წარმოდგენილი, ანუ კომპონენტებით გაწერილი აქტივობების მინიმუალური ქულების ჯამი არის 32,5, ხოლო დამატებით გამოცდაზე გასასვლელად მინიმალური ქულა არის 41.

გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ რა არის იმის მიზეზი, რომ ოცმა სტუდენტმა ჩააბარა და მხოლოდ სამმა აიღო დიპლომი?

რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა ფასიანია და ხშირად, სტუდენტები იჩერებენ სტატუსს.

ის ასევე დაინტერესდა, რა პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ სილაბუსის ავტორი სხვაა, ლექციებს კი სხვა ლექტორი კითხულობს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სილაბუსის ავტორი საერთოდ არ კითხულობს ამ მიმართულებით ლექციებს და არ აქვს შეხება ამ საგანთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კოლეგიური მუშაობისთვის. მისი თქმით, რაც შეეხება რეკომენცდაციებს, ზოგიერთ რეკომენდაციას არ ეთანხმებიან, ზოგიერთს კი, კატეგორიულად არ ეთანხმებიან. აკადემიური პერსონალის სიჭარბე შესაძლებელია, შესამჩნევი იყოს თავისუფალი კომპონენტების ბლოკში და არავითარ შემთხვევაში, ძირითად ბლოკში. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ძირითადი აკადემიური პერსონალიდან ემსახურება 5 არქეოლოგი, რაც

არცთუ ცოტაა პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის, თუმცა, დამატებით გათვალისწინებული იქნება ახალგაზრდა სპეციალისტთა წილის გაზრდა და ამაში დაწესებულება ეთანხმება ექსპერტებს. რაც შეეხება მეორე რეომენდაციას, პროგრამის სავალდებულო კურსებში წარმოდგენილია ოთხი სილაბუსი, რომელთაგან საველე არქოლოგია მხოლო ერთია დ არა ორი, 15 სალექციო და 30 სემინარის საათობრივი განაწილებით. ასევე პრაქტიკის სამი საგანი: „საველე პრაქტიკა", „საველე პრაქტიკა - დაზვერვითი სამუშაოები" და „სტაციონარული გათხრები". აღნიშნული საგნების სილაბუსები, ბუნებრივია, ასახავს განსხვავებული სამუშაოების სპეციფიკას, თუმცა, იმდენად, რამდენადაც სამივე საგანი გათხრებთან არის დაკავშირებული, გარკვეული კომპონენტების თანხვედრა შესაძლებელია. რეკომენდაციას, საგნისთვის „საქართველოს არქეოლოგია" სახელის შეცვლის შესახებ, დაწესებულებაც იზიარებს. რაც შეეხება ნუმიზმატიკას, მისი მიზანია, სტუდენტს შეასწავლოს საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ადგილობრივი და სხვადასხვა დროს მიმოქცევაში არსებული უცხოეური მონეტები. სილაბუსის თემატიკის ჩამონათვალში ჩანს, რომ აქ საუბარია არამხოლოდ ქართულ, არამედ საქართველოში აღმოჩენილ ალექსანდრე მაკედონელის, ელინისტური ხანის ოქროსა და ვერცხლის მონეტების, ტრაპიზონის სამოქალაქო მონეტების, ანტიკური ხანის მედალიონების, ბიზანტიური, არაბული, მონღოლური მონეტების შესახებ, ამიტომ კურსისთვის „ქართული ნუმიზმატიკის" დარქმევა არასწორია. არქეოლოგიის პროგრამის სტუდენტები, წინაქრისტიანულ ქართულ კულტურას საკმაო დოზით ეცნობიან უშუალოდ არქეოლოგიური დისციპლინების ფარგლებში, ამიტომ კოორდინაციიდან გამომდინარე, კურსში საქართველოს ხელოვნების შედარებით მოგვიანებულ ნიმუშებს ეთმობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა რეკომენდაციაზე, სადაც წერია, რომ პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის პროფესიით არქეოლოგი და თქვა, რომ 5 მაღალი რანგის პროფესორი არქეოლოგია წარმოდგენილი პროგრამაზე, ისევე როგორც სხვა უნივერსიტეტებში. მათი უპირატეობა კი ის გახლავთ, რომ სხვა ინივერსიტეტებისგან განსხვავებით, მათ აქვთ შესაძლებლობა, სტუდენტებს შეასწავლონ ინტერდისციპლინური მეთოდები, პრაქტიკას კი ექცევა განსაკუთრებული ყურადღება.

ირმა წერეთელი დაინტერესდა, სად საქმდებიან კურსდამთავრებულები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ხელშეკრულება აქვთ მუზეუმთან და ისინი საქმდებიან ამ მუზეუმში. მისი თქმით, პროგრამას აქვს ერთი პრობლემა, კერძოდ, ის, რომ არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სხვა უნივერსიტეტში, ეს პროგრამა სახელმწიფოს მიერაა დაფინანსებული. შესაბამისად, როდესაც სტუდენტები ავსებენ განცხადებას, ისინი ფიქრობენ, რომ არქეოლოგია მათთანაც ფინანსდება, მაგრამ შემდეგ იქმნება პრობლემები ფინანსური კუთხით და უკვე მე-3 კურსამდე მისული სტუდენტები იჩერებენ სტატუსს, რაზეც ირმა წერეთელმა უპასუხა, რომ გამოდის, სტუდენტები შეცდომაში არიან შეყვანილნი და შემდეგ ეს ქმნის ფინანსურ პრპბლემებს, თუმცა, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე, დაწესებულება უხსნის სტუდენტებს ამ სიტუაციას, თუმცა, ისინი დარჩენის სურვილეს გამოხატავენ ხოლმე, ანუ იმის თქმა, რომ სტუდენტები საქმის კურსში არ არიან, არ შეიძლება. თავად დაწესებულების მხრიდან კი, არაერთხელ გაიგზავნა წერილი სამინისტროში, რომ მოხდეს ამ ფაქტის გათვალისწინება და პროგრამა დაფინანსდეს სახელმწიფოს მიერ, თუმცა, ჯერ-ჯერობით არაფერი იცვლება.

ირმა წერეთელი დაინტერესდა დაწესებულების არგუმენტაციით, თუ რაშია მათი დაინტერესება ამ პროგრამაზე, რადგან, წესით მათი ინტერესია სპეციალისტის მომზადება, თუმცა ამ პროდუქტამდე ვერ მიდიან, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ აქვთ ძალიან კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და იკავებენ თავის ნიშას და მიუხედავად იმისა, რომ პრგრამა ფასიანია, სტუდენტი მაინც ყოველთვის ჰყავთ.

საბჭოს თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

ირმა წერეთელი დაინტერესდა, კურსდამთავრებულთა რაოდენობით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი გამოშვება ჰყავდათ, სადაც 3 სტუდენტი იყო. თუმცა, ის სტუდენტები, რომლებმაც სტატუსი შეიჩერეს, აღიდგინეს ისევ სტატუსი და შემდეგი გამოშვება უკვე გაცილებით მეტი იქნება.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა გააკეთა განმარტება, რომ უფასო ფაკულტეტების მოდელი მოქმედებს მხოლოდ იმ პროგრამებთან მიმართებით, რომლის სამივე საფეხურის პროგრამებიც ხორციელდება დაწესებულებაში. იმ პერიოდში კი, როდესაც არქეოლოგია პრიორიტეტად განისაზღვრა, ტექნიკურ უნივერსიტეტს სამივე საფეხური არ ჰქონდა და ამიტომ ვერ მოხვდა დაფინანსებაში. მართალია, მოგვიანებით დაიმატა დოქტორანტურა, თუმცა დაფინანსება მაინც არ შეეხო. დაწესებულების წარმომადგენელმა კი აღნიშნა, რომ მათ თავიდანვე ჰქონდათ სამივე საფეხური, ხოლო სამინისტროში გაგზავნილ წერილზე მიიღეს პასუხი, რომ შემდეგი სასწავლო წლისთვის გაითალისწინებდნენ ამ პროგრამას დაფინანსების კუთხით, თუმცა ეს ასე არ მოხდა და შემდეგ წელს, უკვე ახალი მინისტრის დროს, დაწესებულებას ეცნობა, რომ სახელმწიფო დაფინანსებები უნდა შეჩერებულიყო.

ირმა წერეთელმა აღნიშნა, რომ სახეზე გვაქვს ასეთი მოცემულობა, რომ ვიღაცის უპასუხისმგებლობის გამო, სტუდენტები ვარდებიან გაურკვეველ მდგომარეობაში და ამაზე ვინმემ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, მათ შორის, დაწესებულებამ.

ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა, რამდენინად უზრუნველყოფს 5 კრედიტიანი საგანი, რომელიც

60 საკონტაქტო საათს გულისხმობს, თეორიული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში განმტკიცებას და კვალიფიკაციის კომპეტენციის მიღებას და რა ფორმით არიან ჩართულები სტუდენტები საველე პრაქტიკებში და რაიმე წამახალისებელი მექნიზმები თუ არსებობს სტუდენტთათვის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საველე პრაქტიკა უნივერსიტეტს აქვს ყოველ წელს და მე-2, მე-3 და მე-4 კურსელები იღებენ მონაწილეობას პრაქტიკებში. გარდა ამისა, მათ აქვთ მემორანდუმი კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან, რომელიც აძლევს არტეფაქტებზე მუშაობის შესაძლებლობას. ისინი ასევე ასწავლიან სტუდენტებს თურქულ ენას, რადგან მათ მემორანდუმი აქვთ გაფორმებული თურქეთის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელთან არქეოლოგიის მიმართულებით და სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, უფასოდ შეისწავლონ თურქული ენა.

თამარ ტუფინაშვილი დაინტერესდა, პროგრამა თავისი შინაარსით თუ შეესაბამება არქეოლოგიის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს?

ექსპერტის თქმით, პროგრამაში ჩარტლი პერსონალის რაოდენობა არის 42 და 5 არქეოლოგი ამ ფონზე, არის ძალიან ცოტა. ამ სპეციალისტების მნიშვნელოვანი ნაწილი არიან გეოლოგები და სხვა მომიჯნავე სპეციალობების წარმომადგენლები, შესაბამისად, წილი ამ საგნებისა არის ბევრი. დაწესებულების მხრიდან გამართლება ამისა, იყო ის, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში დიდი ხანია, არსებობდა ლაბორატორია, რომელიც ახდენდა ექსპონატების ანალიზს, თუმცა ექსპერტის აზრით ეს არგუმენტი არასაკმარისია, რადგან, როდესაც სტუდენტს ენიჭება არქეოლოგის კვალიფიკაცია, საგნებისა და პერსონალის რაოდენობა ამ მიმართულებით უნდა გაიზარდოს.

თამარ ტუფინაშვილი დაინტერესდა, ასეთ პირობებში რამდენად აკმაყოფილებს პროგრამა მოთხოვნებს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ საგნების უმეტესობის ფუნქცია გაუგებარია, ხოლო

გარკვეული საგნები მეორდება, კონკრეტულად კი საგნების „ხატვა“ და „არქეოლოგიური ნახატი“ მსგავსია, ამიტომ, სასურველია, მოხდეს კურსის სილაბუსის მოდიფიკაცია.

გურანდა ჭელიძე დაინტერესდა, პროგრამის ბიუჯეტით და აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა, საველე პრაქტიკისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი ცალკე ყოფილიყო გამოყოფილი და როგორ მოხდება იმ სტუდენტების დაფინანსება, რომლებმაც თურქეთში უნდა გაიარონ საველე პრაქტიკები? ასევე, სხვადასხვა უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმებით თუ უსარგებლია ან აკადემიურ პერსონალს, ან სტუდენტებს? და ასევე, როდესაც დაწესებულებამ ახსენა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელ ბაზაზეა საუბარი?

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ბიუჯეტში გათვალისწინებულია საველე პრაქტიკების დაფინანსება, ხოლო რაც შეეხება გასვლით ექსპედიციებს, გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, ორივე მხარე უზრუნველყოფს მის დაფინანსებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბაზაზე იქმნება მუზეუმი, სადაც წარმოდგენილი იქნება გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთები და არტეფაქტები. რაც შეეხება მემორანდუმებით სარგებლობას, ხელიოვნებისა და ჯანაშიას მუზეუმთან არსებული მემორანდუმის ფარგლებში, ისინი სარგებლობენ მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები კი, გულისხმობს მობილობის პროცესს და სტუდენტებს შეუძლიათ იგივე პროგრამებზე ისწავლონ საზღვარგარეთ.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 20:37

დამთავრების დრო 20:47

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

- ☐ აკრედიტაციის შესახებ
- ➢ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარე **ირაკლი ბურდული**

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[100]	არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[101]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 13 დეკემბრის №286
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[102]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[103]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[104]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[105]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	კვალიფიკაციის კოდი[106]	0222
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[107]	საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77, VI კორპუსი

[100] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[101] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[102] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[103] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[104] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[105] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[106] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/6) შესაბამისი კოდი

[107] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 09 მარტი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[108]	-
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2022 წლის 09 მარტი

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

[108] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში